ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №537102

ნომერი: AR1107942

თარიღი : 07.02.2013

გაცემის თარიღი : 18.02.2013

გაცნობის თარიღი : 18.02.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი მოსკოვის დასაწყისში, , ავტოგასამართი სადგურის მიმდებარედ, (ნაკვ. 5/8) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- სოსო აბჟანდაძე პ/ნ 01024049189
- თბილისი ბუდაპეშტის ქ. N 15 ბ. 9

ნომენკლატურა :

- სათბური-ორანჟერეა
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სათფური
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გიორგი ბენდელიანი

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ საკითხი დაყენებულია არასწორად და შესაბამისად განცხადებაც რეგისტრირებულია არასწორი ნომენკლატურით. გამომდინარე აქედან, სამსახური მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს დააკმაყოფილოს თქვენი მოთხვნა. აღნიშნულთან დაკავშირებით განგიმარტავთ შემდეგს:

საქართველოში მშენებლობის ნებართვის გაცემა დარეგულირებულია „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 24.03.2009 წ №57 დადგენილებით, რომლის თანახმადაც მშენებლობის ნებართვა გაიცემა სამ სტადიად, რომელთაგან თითოეულზე მიმდინარეობს დამოუკიდებელი ადმინისტრაციული წარმოება. მხოლოდ წინა სტადიით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და დადებითი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ შეუძლია ნებართვის მაძიებელს მოითხოვოს შემდგომი სტადიის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება. აღნიშნული სტადიების ადმინისტრაციული წარმოების ვადებია:

1. I სტადია – ქალაქთმშენებლობითი პირობების დად-გენა (შემდგომში – მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყე-ნების პირობების დამტკიცება) – არა უმეტეს 15 დღისა, V კლა-სის შენობა-ნაგებობებისთვის – არა უმეტეს 30 დღისა;
2. II სტადია – არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება (შემდგომში - არქიტექტურული პროექტის, კონსტრუქციული ან/და ტექნოლოგიური სქემის შეთანხმება) – არა უმეტეს 20 დღისა;
3. III სტადია – მშენებლობის ნებართვის გაცემა – არა უმეტეს 10 დღისა.

ხსენებული დადგენილების მიზნებისათვის შენობა-ნაგებობები და სამშენებლო სამუშაოები მშენებლობის ნებართვის გაცემისა და ექსპლუატაციაში მიღებისათვის იყოფა 5 კლასად და ამათგან, მხოლოდ I კლასის შენობა-ნაგებობები არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას. ყველა სხვა შემთხვევაში საჭიროა მშენებლობის ნებართვის მიღება, რომელიც ახალი მშენებლობის, მათ შორის დროებითი ტიპი/სტატუსის შენობა-ნაგებობებისთვის იწყება I სტადიის გავლით - მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყე-ნების პირობების დამტკიცებით. აღნიშნული დადგენილება წეიდან გამონაკლსის ამ ნაწილში არ ითვალისწინებს.

გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით შენობა აღემატება I კლასის შენობის მახასიათებლებს (60 მ²მდე სართულების იატაკის დონეებზე განაშენიანების ჯამური ფართობის, 5 მ-მდე სიმაღლისა და გრუნტის ზედაპირიდან საშუალოდ 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა), საჭიროა საკითხი დააყენოთ I სტადიის ნებართვის მიღებაზე: მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები -> მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა, რაზეც დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ შესაძლებელი იქნება

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.